სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 51/35505/69

ქ. თბილისი „ 18 “ „ 09 “ 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი", მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორე მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდგომში „მიმწოდებელი“, მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების სესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის N248 დადგენილების საფუძველზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაქმებულ შშმ პირთა და დამსაქმებელთა დამოკიდებულებათა გამოვლენის მიზნით შშმ პირთა დასაქმების შემთხვევებში მაკრო და მიკრო გარემო-ფაქტორების ზემოქმედების გამოვლენის მიზნით კვლევითი მომსახურების (CPV79315000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება 67 960 (სამოცდაშვიდი ათას ცხრაას სამოცი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 გასაწევი მომსახურების აღწერილობა და ფასი განისაზღვრება ხელშეკრულების თანდართული დოკუმენტების - გასაწევი მომსახურების აღწერილობა (დანართი N1) და გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი N2) შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დანართი N1 -ის პირობებით განსაზღვრული ეტაპებისა და ვადების შესაბამისად.

4.2. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ორ ეტაპად, მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.2 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორების მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოება ეტაპობრივად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში.

6.3. შესაძლებელია ანგარიშსწორება განხორციელდეს წინასწარი ანგარიშწორების ფორმით, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50% ოდენობით, მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის

თანხაზე შესაბამისი საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.1.2. „შემსყიდველის“ მოთხოვნისამებრ უზრუნველყოს მიღებული წინასწარი, შუალედური და საბოლოო შედეგებისა და შესაბამისი ანგარიშების დაინტერესებული საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია.

7.1.3. არ გამოიყენოს საკუთარი მიზნებისთვის კვლევის ნებისმიერ ეტაპზე მოპოვებული მონაცემები, ან გადასცეს მესამე მხარეს „შემსყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე .

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.2 უზრუნველყოს პროცესის გამჭვირვალობა და ინფორმაციის გაცვლა „მიმწოდებელსა“ და შესაბამის ორგანიზაციებს შორის.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლებააქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლებააქვს:

8.2.1. განახორციელოს ზედამხედველობა მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხებაან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულები ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია შემთხვევის დადგომიდან 10

კალენდარული დღის განმავლობაში. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელნაწილად.
10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულები პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი კალენდარული დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამავე მუხლით განსაზღვრული მდგომარეობის დადგომისას, ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, შეტყობინების მიმღები მხარის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე.
12.3 12.2. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს ამ დროისთვის შესრულებულ სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
12.4. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ და მათ შორის წარმოიშვა დავა, მათ უფლება აქვთ მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი.

14.2. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. დასკვნითი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (11 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო ორი – „შემსყიდველთან".

„ შემსყიდველი "	„მიმწოდებელი"
საქართველოსშრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საიდენტიფიკაციო კოდი 211333957	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მის: ჭავჭავაძის გამ N1 ს/კ 204864548 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ბანკის კოდი TRESGE2 სახაზინო კოდი 708967253
ვალერი კვარაცხელია	ლევან ჩიგვასიძე
მინისტრის მოადგილე	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

ე. ჯგერენაია

მ. თავაიეთრიშვილი

ი. აბრამიშვილი

ა. თორია

მეთოდოლოგიის აღწერა და კვლევის გეგმა

კვლევა განხორციელდება ინფორმაციის შეგროვების სამ თვსიებრივ მეთოდზე დაფუძნებით: ფოკუს ჯგუფი, სიღმისეული ინტერვიუ და შემთხვევეის შესწავლა. საკვლევი საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კვლევითი პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე აქტიურად იქნებიან ჩართულნი შშმ პირები და მათი მიერ დაარსებული ორგანიზიციები. შერჩევის განსაზღვრისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შეძლებისდაგვარად ზუსტი ბაზის შექმნა იმ შშმ პირებისა, რომლებიც ლეგალურად დასაქმებულნი არიან ღია ბაზარზე. ამ ბაზაზე დაყდნობით დაიგეგმება და განხორციელდება კვლევა ზემოაღიშნული მეთოდებით. კვლევის საწყის ეტაპზე ჩატარდება ფოკუს ჯგუფები დამსაქმებლებთან და ღია ბაზარზე დასაქმებულ შშმ პირებთან. ფოკუს ჯგუფები საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ის ზოგადი პრობლემები და გამოწვევები, რაც საქართველოში შშმ პირთა დასაქმებისთვის არის დამახასიათებელი. თუმცა, არ იძლევა საკითხის სიღმისეული კვლევის საშუალებას. ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გადამუშავებული კითხვარებით ჩატარდება სიღრმისეული ინტერვიუები (40-50 წთ-ის ხანგრძლივობით) სამ მიზნე ჯგუფთან: (1) ღია ბაზარზე დასაქმებული შშმ პირები, (2) ორგანიზაციის ხელმძვანელი/პასუხისმგებელი პირები, სადაც დასაქმებულნი არიან შშმ პირები და (3) სფეროს ექსპერტები, ვისაც შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის გამოცდილება აქვს.

ფოკუს ჯგუფებითა და სიღმისეული ინტერვიუებით მიღებული ინფორმაცია შევსებული იქნება იმ შემთხვევათა შესწავლით, რომელიც უკავშირდება ღია ბაზარზე შშმ პირთა ლეგალურად დასაქმების წარუმატებელ გამოცდილებას. შემთხვევის შესწავლისას გამოყენებული იქნება ინტერვიუს მეთოდები - რესპონდენტტან, მისი ოჯახის წევრებთან, ყოფილ დამსაქმებელთან/ყოფილ კოლეგებთან, რელევანტური დოკუმენტაციის შესწავლა - თითოეული შემთხვევისას, ინდივიდუალურად განისაზაღვრება კვლევის სამოქმდო გეგმა, კვლევაში ჩართული პირები, მეთოდოლოგია და კვლევის ეტაპები.

ქვეყანაში შშმ პირების დასაქმების არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, საკვლევი საკითხის სიღმისეული ანალიზისთვის საჭიროა საკვლევი მეთოდოლოგიის შემდეგნაირად დაგეგმვა:

	სამიზნე ჯგუფი	ფოკუს ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ	შემთხვევის შესწავლა
1	ღია ბაზარზე ლეგალურად დასაქმებული შშმ პირები	8	15	
2	ორგანიზაციის ხელმძღვანელები/პასუხისმგებელი პირები, სადაც მუშაობენ შშმ პირები	6	10	
3	სფეროს ექსპერტები		5	
4	ღია ბაზარზე ლეგალურად დასაქმების წარუმატებელი გამოცდილების მქონე შშმ პირები			6

სამუშაოს შესრულების გეგმა და განრიგი

შემჭიდროვებული ვადებისა და სამუშაოს დიდი მოცულობის გათვალისწინებით, კვლევითი პროექტის ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია ორი მიმართულებით პარალელურად მუშაობა: (1) ქვეყნის მასშტაბით ღია ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მოკლვევა და მონაცემთა ბაზის შექმნა და (2) კვლევის დიზაინზე მუშაობა და კვლევის განხორციელების დაგეგმვა. პროექტის ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს პროექტში შშმ პირებისა და მათ მიერ დაარსებული ორგანიზაციების ჩართულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევით პროექტში უნდა იმუშაოს ორმა გუნდმა: (1) ქვეყნის მასშტაბით ღია ბაზარზე ლეგალურად დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი (ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის მენეჯერი და ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის შვიდი რეგიონალური კოორდინატორი) და (2) უშუალოდ კვლევის განმახორციელებელი ჯგუფი (სასწავლო დავალებების მენეჯერი-ძირითადი მკვლევარი, ასისტენტი, ფოკუს ჯგუფის ფასილტატორები, ინტერვიუერები, საველე კოორდინატორი); ორივე ჯგუფის მუშაობა მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული და ორივე გუნდის წევრები სრულად უნდა იყვნენ ჩართულნი ყველა აქტივობაში - ჯგუფებს შორის ეფექტურ კოორდინაციაა უზრუნველყოფილ უნდა იყოს კვლევის ხელმძღვანელი/მენეჯერის მიერ.

პროექტის განხორციელების განრიგი:

	გასაწევი მომსახურების აღწერილობა	I ეტაპი (ხელშკრულების გაფორმებიდან 31 ოქტომბერი)		II ეტაპი (31 ოქტომბერი - 20დეკემბერი)	
1	სამუშაო გუნდის შექმნა და აქტივობების დაგეგმვა				
2	საქართველოს მასშტაბით ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირების მონაცემეთა ბაზის შექმნა				
3	კვლევის დიზაინზე მუშაობა				
4	კვლევის განხორციელება - საველე მუშაობა				
5	კვლევის მონაცმების ანალიზი და ანგარიშზე მუშაობა				
6	კვლევის ანგარიშის დაბეჭდვა				
7	ღია შრომის ბაზარზე დასაქმებულ შშმ პირთა რუკის დაბეჭდვა				
8	კვლევითი პროექტის შედეგების პრეზენტაცია				

კვლევის ინსტრუმენტის პროექტი

აუცილებელი თემები საკვლევი ინსტრუმენტებისთვის:

	ფოკუს ჯგუფი/ინტერვიუ შშმ პირებთან	ფოკუს ჯგუფი/ინტერვიუ დამსაქმებლებთან

1	სამუშაოს დაწყების წინაპირობა - როგორ გაიგო ვაკანსიის შესახებ, ფაქტორები, რომლემაც ხელი შეუწყო რესპონდენტს მუშაობის დაწყებაში, ფსიქოლოგიური ფაქტორები, ოჯახის დამოკიდებულება და სხვა	როგორ გახდა შშმ პირი მისი ორგანიზაციის წევრი, აქვს თუ არა ორგანიზაციას მსგავსი გამოცდილება თუ ეს პირველი შემთხვევაა
2	ორგანიზაციის პოლიტიკისა და ორგანიზაციული კულტურის მისი შეფასება - რამდენად განვითარებულია ორგანიზაციაში კორპორაციული პასუხისმგებლობა, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და კოლექტივის დამოკიდებულება სოციალური პრობლემების მიმართ და სხვა	ახორციელებს თუ არა ორგანიზაცია სოციალურ პროექტებს - კორპორაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კითხვები
3	სამუშაო მოვალეობებთან ადაპტირების თავისებურებები - ჰქონდა თუ არა საკმარისი კვალიფიკაცია, დასჭირდა თუ არა დახმარება და სხვა	მოუწიათ თუ არა რაიმე სახის ცვლილებების გატარება შშმ პირის მიღების შემდეგ (ფიზიკური გარემოს შეცვლა, ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკი და სხვა), როგორ იგებს (დასაწყისში და ახლა) მისი საჭიროებების შესახებ
4	რესპონდენტის უშუალო სამუშაო გარემოს თავისებურებები - ხელისშემწყობი და ხელისშემშელელი ფაქტორები	ახლავს თუ არა გარკვეული სირთულეები შშმ თანამშრომლის ორგანიზაციაში მუშაობას და რა სახის დახმარება სჭირდება ამ სირთულეებთან გასამკლავებლად
5	უშუალო უფროსთთან დამოკიდებულების თავისებურებები	როგორ შეხვდა კოლექტივი შშმ თანამშრომელს, რა სახის დამოკიდებულებები იყო დასაწყისში და ახლა
6	კოლეგებთან ურთიერთობებების თავისებურებები	რამდენად კმაყოფილია შშმ პირის მუშაობით დასაწყისში და ახლა? მის მუშაობას ისევე აფასებს, როგორც სხვა თანამშრომლების, თუ მის მიმართ შეფასების უფრო მსუბუქ ფორმებს იყენებს
7	ორგანიზაციულ ღონისძიებებში მონაწილეობა	როგორ ფიქრობს, არის თუ არა შშმ პირი მისი ორგანიზაციის სრულფასოვანი თანამშრომელი - მონაწილეობს კორპორაციულ ღონისძიებებში, აქვს მეგობრული ურთიერთობა თანამშრომლებთან
8	კარიერული წინსვლის	ფიქრობს თუ არა სხვა შშმ პირების

	პერსპექტივები	დასაქმებაზე?
9	სამუშაო ადგილზე ტრასპორტირების თავისებრებები	როგორ ფიქრობს, რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში შშმ პირების დასაქმების ხელშესაწყობად - მისი ორგანიზაციის პერსპექტივიდან, კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც მას ხელს შეუწყობდა შშმ პირების დასაქმებაში
10	ოჯახის წევრების დამოკიდებულებები - ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები	
11	ზოგადად, დასაქმების გავლენა ცხოვრებით კმაყოფილებაზე	
12	რეკომენდაციები იმ ღონისძიებების შესახებ, რაც მის სამუშაო გარემოს უფრო კომფორტულს გახდიდა და გაზრდიდა მისი მუშაობის პროდუქტიულობას	

კვლევითი პროექტის გუნდის შემადგენლობა და კვალიფიკაცია

1. პროექტის მენეჯერი - კვლევის ხელმძღვანელი - *თამარ მახარაძე* - საჯარო პოლიტიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი. თსუ-ს შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორი. თამარ მახარაძეს აქვს როგორც კვლევითი, ასევე მენეჯერული მუშაობის დიდი გამოცდილება - პროექტების უმრავლესობის ძირითად თემას შეზღუდული შესაძლებლობები წარმოადგენს. როგორც მკვლევარი და პროექტის ხელმძღვანელი მონაწილეობდა არაერთ კვლევით პროექტში, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით (შშმ პირთა დღის ცენტრების სტანდარტების შემუშავება (2009), შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა (2010), შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა დასაქმების საუალებით (2008), შშმ პირთა დასაქმება საქართველოში - პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითზე (2015)). 2014 წელს ასრულებდა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას. შეზღუდული შესაძლებლობები წარმოადგენს მისი, როგორც მკვლევარის ძირითადი ინტერესის სფეროს. თ.მახარაძის სადოქტორო დისერტაცია სწავლობდა სოციალური გარემოს მოწყობის თავისებურებების გავლენას შშმ პირთა სოციალურ ინტეგრაციაზე. აღნიშნულ თემატიკაზე აქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პუბლიკაციები:

მახარაძე, თ. (2013). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა - სახელმძღვანელო დამსაქმებლებისთვის, საქართველოს კარიტასი

მახარაძე, თ. (2013). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა - სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის, საქართველოს კარიტასი

მახარაძე, თ. & ქიტიაშვილი ა. (2012). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ოჯახების საჭიროებები და გამოწვევები. თსუ მეცნიერება, დეკემბერი

Makharadze T., Kitiashvili A. & Bricout J. (2010) Community Based Day-Care Services for People with Intellectual Disabilities in Georgia – A Step Forward Toward Their Social Integration. *Journal of Intellectual Disabilities* 14 (4): 289-301

Makharadze T.(2010) Social Integration of adults with intellectual disabilities - Lessons from Poland and the United States. *International Social Work.* 53(1)1-13

Makharadze,T. (2007). Social Integration of Adults with Intellectual Disabilities in Georgia – from the Perspective of Polish Experience. *The state policy – lessons of Poland. Polish-Aid*

Makharadze, T. (2005). Mental Health – Key Component of National Health Policy. *NISPAcee-News,12 (1)*.5-7

2. სასწავლო დავალებების მენეჯერი - ძირითადი მკვლევარი - *ნანა სუმბაძე* არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი და ამავდროულად არასამთავრობო ორგანიზაციია "საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის" თანადირექტორი. მას აქვს ლეიდენის უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.
პროფესიული გამოცდილების სფეროები: საჯარო პოლიტიკის ანალიზი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევები სოციალურ, ჯანმრთელობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, იძულებით გადააგილებული პირების, განათლების სფეროებში. ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების, და თრეინინგების ჩატარება, გენდერული ანალიზი და გენდერული აუდიტი. მას აქვს მულტიკულტურულ გარემოში და საერთაშორისო გუნდთან, სამინისტროებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება, იგი სხვადასხვა დროს იყო მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკავშირის კონსულტანტი, ძირითადი მკვლევარი და პროექტების დირექტორი. ნ. სუმბაძე არის 80-მდე საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი.

ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის მენეჯერი - *ირინე ჟვანია* - ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი. თსუ-ს შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე. მას აქვს როგორც მენეჯერული, ასევე კვლევითი საქმიანობის გამოცდილება. ირინა ჟვანია ინტენსიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ კვლევებსა და პროექტებში, მათ შორის შშმ პირთა საკითხებზე: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა მათი დასაქმებით – პროექტი მიზნად ისახავდა შშმ პირთა დასაქმებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, პრობლემებისა და საჭიროებების კვლევას (ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (EPF), პროექტის ექსპერტი, 2008); შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს მხარდაჭერა– პროექტი მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს გაძლირებას, შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის 2013-2016 წლების სამთავრობო გეგმა შემუშავებასა და გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის" რატიფიცირების მხადაჭერას (მმართველობის რეფორმები ფონდის (UNDP), პროექტის კონსულტანტი, 2012). 2004–2005 წლებში იგი გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დეკანის მოადგილე, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა.

. საველე კოორდინატორი - *მაია მაისურაძე* - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი - 2002
2007 წლიდან დღემდე საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი, მენეჯერი
მონაწილეობას იღებდა და კოორდინირებას უწევდა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ კვლევებს

პროფესიული გამოცდილების სფეროები: რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები სოციალურ, ჯანმრთელობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, იძულებით გადააგილებული პირების, განათლების სფეროებში, აქვს სიღმისეული ინტერვიუებისა და ფუკუსური ჯგუფების ჩატარების გამოცდილება.

4. ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის რეგიონალური მენეჯერები ძირითადად დაკომპლექტებულია შშმ პირებისა და შშმ პირების ორგანიზაციების წარმომადგნელებით:

4.1 თბილისი, მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი: *გიორგი ახმეტელი* - „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“

4.2 შიდა ქართლი - *თინა ბრეგვაძე* - „ასოციაცია გორის ინვალიდთა კლუბი“

4.3 იმერეთი, გურია, რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - *ლიკა კილაძე* -„ ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“

4.4 სამეგრელო - ზემო-სვანეთი - *მადონა ხარებავა* - ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია

4.5 აჭარა - *მანანა ინაიშვილი* - არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეპ ფორვარდ“

4.6 კახეთი - *მაია შიშნიაშვილი* - არასამთავრობო ორგანიზაცია „ხელი ხელს“

4.7 სამცხე-ჯავახეთი - *ვიქტორია ეგიანი,* არასამთავრობო ორგანიზაცია "ტოლერანტი"

5. ფოკუს ჯგუფის ფასილიტატორები:

5.1 თამარ აბაშიძე, ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

5.2 ქეთევან გიგინეიშვილი - სოციალური მუშაობის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, სოციალური მუშაობის სპეციალობით.

6. ინტერვიუერები:

6.1 ნუცა საღარაძე - თსუ ფსიქოლოგიის მაგისტრი, თსუ დოქტორანტი ფსიქოლოგიის სპეციალობით

6.2 შორენა ხუციშვილი - თსუ ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით

6.3 მაია ჯინჭარაძე - თსუ, ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით

6.4 ეკა მღებრიშვილი- ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით

6.5 ნინო მექვევრიშვილი - თსუ სოციალური მუშაობის მაგისტრი

6.6 ელენე მარტაშვილი - თსუ სოციალური მუშაობის მაგისტრი

7. შემთხვევის შესწავლა

7.1 ქეთევან ახმეტელი, თსუ ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით

7.2 ნაზი ფარსადანაშვილი - თსუ ფსიქოლოგიის მაგისტრი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით

7.3 თინათინ ტყეშელაშვილი, ფსიქოლოგის დიპლომი (ხუთლიანი სწავლის დიპლომი, გათანაბრებული მაგისტრის ხარისხთან).

ხარჯთაღრიცხვა

დანართი 2

		თანხა ლარებში (ერთეული)	რაოდენობა ჯერადობა	ხანგრძლივობა	სულ
1	პროექტის მენეჯერი - კვლევის ხელმძღვანელი	3060	1	3	9180
2	სასწავლო დავალებების მენეჯერი - ძირითადი მკვლევარი	2300	1	3	6900
3	სასწავლო დავალებების მენეჯერის ასისტენტი	550	1	3	1650
4	საველე კოორდინატორი	1300	1	2	2600
5	საველე კოორდინატორის ასისტენტი	410	1	2	820
6	ფინასნური მენეჯერი	800	1	3	2400
7	ტექნიკური დამხმარე პერსონალი (მონაცემთა ბაზის რუქის დამზადება)	450	1	1	450
8	ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის მენეჯერი	1700	1	2	3400
9	შერჩევის სპეციალისტი	500	1	1	500
10	ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის რეგიონალური მენეჯერი (თბილისი, ...)	1000	5	1	5000
11	ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის რეგიონალური მენეჯერი (თბილისი, ...)	1500	2	1	3000
12	ღია შრომის ბაზარზე დასაქმებული შშმ პირთა მონაცემთა ბაზის მკვლევარები (10 ინტერვიუერი მოკლე სატელეფონო ინტერვიუსთვის)	10	750	1	7500
13	ფოკუს ჯგუფი (დამასქმებლები)	800	1	6	4800
14	ფოკუს ჯგუფი (შშმ პირები)	800	1	8	6400
15	სიღმისეული ინტერვიუ (დამსაქმებელი)	100	1	10	1000
16	სიღმისეული ინტერვიუ (შშმ პირი)	100	1	15	1500
17	სიღმისეული ინტერვიუ (ექსპერტები)	100	1	5	500
18	შემთხვევის შესწავლა	850	1	6	5100
19	ყავა/ჩაი/წყალი ფოკუს ჯუფის მსვლელობისას	20	1	14	280
20	ფურშეტი (კვლევი პრეზენტაციის შემდეგ)	8	1	30	240
21	მივლინება				4700
	სადღეღამისო ხარჯი (ბათუმი,ქუთაისი,ზუდგიდი, გორი, ახალციხე)				
	ბინის დაქირავების ხარჯი (ბათუმი,ქუთაისი,ზუდგიდი, გორი, ახალციხე)				
	მგზავრობის ხარჯი (ბათუმი,ქუთაისი,ზუდგიდი, გორი, ახალციხე)				
	სულ:	**16358**			**67960**

ფოკუს ჯგუფისა და სიღმისეული ინტერვიუს რეპოსნდენტებს საჩუქრად გადაეცემათ თსუ-ს სუვენირები. კვლევის ანგარიში დაიბეჭდება თსუ სტამბაში.

,, შემსყიდველი ''

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრო

ვალერი კვირკველია
მინისტრის მოადგილე

,,მიმწოდებელი''

ხალვაში ანნა ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დავით ბერიძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

18 09 2015 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ე. ჯგერენაია